საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 6 20 0000878691

23/09/2020

,,საქართველოს რეფორმების ასოციაციას,,
,,ფაქტ-მეტრის" რედაქტორს
ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს
ელ. ფოსტა:nanovero71@gmail.com

ბატონო მალხაზ,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენ განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N819868; 11.09.2020) დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ და მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნულ დირექტორებს 2020 წლის სექტემბრიდან ეტაპობრივად ეწურებათ შრომითი ხელშეკრულების 6-წლიანი ვადა. კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული დირექტორების უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ხდება.

კორონავირუსის პანდემიის გამო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წლის მარტში დაანონსებული საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების ეტაპი არ განხორციელდა და გადაიდო ეპიდემიოლოგიური ვითარების გამოსწორებამდე. თუმცა, ზემოთ მითითებული საჯარო სკოლების დირექტორებისთვის არ ყოფილა სავალდებულო სერტფიფიცირების ეტაპზე მონაწილეობა, ვინაიდან ,,საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანების მე-18 მუხლის თანახმად, დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი ძალას კარგავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს დირექტორის საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, ყველა მათგანს კუთვნილი სერტიფიკატის საფუძველზე შესაძლებლობა აქვს, კონკურსში მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე (საჯარო სკოლების სამეურვეო

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საბჭოებისათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენა), რომელიც სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყება ან საქმიანობა გააგრძელოს მასწავლებლის პოზიციაზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა დირექტორი, რომელსაც გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელთან, ინფორმირებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში აღნიშნული პროცესები მიმდინარეა, შესაბამისად ინფორმაცია მოგეწოდებათ პროცესის დასრულებისთანავე.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გურამიშვილი თინათინ